# ბიულეტენი

აგვისტო, 2017



# ლანდშაფტისა და მიწის რესურსების მდგრადი მართვის დანერგვა სასოფლო ტერიტორიებზე მიწის დეგრადაციისა და სიღარიბის შემცირების მიზნით

პროექტი - **"ლანდშაფტისა და მიწის რესურსების მდგრადი მართვის დანერგვა სასოფლო ტერიტორიებზე მიწის დეგრადაციისა და სიღარიბის შემცირების მიზნით"**, ინიცირებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ (2016-2019 წელი). პროექტს აფინანსებს გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი (GEF), განმახორციელებელია გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა (UNEP), აღმასრულებელი-კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი (REC Caucasus).

პროექტის მიზანია სოფლად, ეკონომიკურად ეფექტიანი მექანიზმის დანერგვის მიზნით ლანდშაფტისა და მიწის მდგრადი მართვის პრინციპებისა და პრაქტიკის ინტეგრირება ეროვნულ პოლიტიკასა და ინსტიტუციურ ჩარჩოებში.

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი ახორციელებს პროექტის მესამე კომპონენტს - **"ეროვნული შესაძლებლობების განვითარება და ცოდნის მართვა"**, რომლის ფარგლებშიც პირველი სამუშაო წლის (2016-2017) მაძილზე განხორციელდა შემდეგი სახის აქტივობები:



## გაფართოებული სამუშაო შეხვედრა დაინტერესებულ მხარეებთან

2016 წლის 7 სექტემბერს, პროექტის "ლანდშაფტისა და მიწის რესურსების მდგრადი მართვის დანერგვა სასოფლო ტერიტორიებზე მიწის დეგრადაციისა და სიღარიბის შემცირების მიზნით" ფარგლებში დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის, მოსალოდნელი შედეგების გაცნობისა და სამომავლო ქმედებების დეტალურად დაგეგმვის მიზნით გაიმართა გაფართოებული სამუშაო შეხვედრა. შეხვედრის მსვლელობისას სხვადასხვა სექტორის (ადგილობრივი/საერთაშორისო სამთავრობო, არასამთავრობო და სამეცნიერო) წარმომადგენლებს მიეცათ საშუალება გაცნობოდნენ და აქტიურად ჩართულიყვნენ პროექტის სამივე კომპონენტის მიზნების, დაგეგმილი აქტივობებისა და სამომავლო შედეგების განხილვის პროცესში.



## საჭიროებათა ანალიზი ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიმღებთა და ფერმერთა ჩართულობით

2017 წლის დასაწყისში, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის წარმომადგენლებმა პროექტის ფარგლებში შერჩეულ, ოთხ მუნიციპალიტეტში: ახმეტა, სიღნაღი, დედოფლისწყარო და გარდაბანი, ადგილობრივ ფერმერებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან საინფორმაციო შეხვედრა გამართეს. წინასწარ შედგენილი კითხვარისა და ადგილობრივად გამართული დისკუსიის პირობებში გამოიკვეთა თითოეული მუნიციპალიტეტისათვის აქტუალური საჭიროებები ნიადაგის დაცვის, საძოვრებისა და ქარსაფარი ზოლების მართვის მიმართულებით.



## ტრენინგმოდული ნიადაგის დაცვის, ქარსაფარი ზოლებისა და საძოვრების მართვის თაობაზე

გამოვლენილი საჭიროებებიდან გამომდინარე, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა შეიმუშავა ტრენინგმოდული, რომელიც მოიცავს მიწებისა და ლანდშაფტების მდგრადი მართვის სფეროში არსებულ ძირითად მიმართულებებს/საკითხებს, როგორიც არის ნიადაგების დაცვა, ქარსაფარი ზოლებისა და საძოვრების მართვა. აღნიშნული ტრენინგმოდულის საფუძველზე შემუშავდა ტრენინგი ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიმღებთა და ფერმერებისთვის.



## საგანმანათლებლო ბუკლეტი-ნიადაგების დეგრადაცია და მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში მომზადდა საგანმანათლებლო ბუკლეტი ''ნიადაგების დეგრადაცია და მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები'', რომელშიც აისახა, როგორც ნიადაგის დეგრადაციის კუთხით არსებული პრობლემები, ასევე მათი გადაჭრის ეფექტური გზები და მდგრადი მართვის ფორმები. აღნიშნული ბუკლეტი გავრცელდა სამიზნე მუნიციპალიტეტებში მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით.



## ტრენინგი "ლანდშაფტისა და მიწის რესურსების მდგრადი მართვის დანერგვა" ახმეტის მუნიციპალიტეტში

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორგანიზებით ახმეტის მუნიციპალიტეტში, თვითმმართველობის წარმომადგენლებსა და ადგილობრივ ფერმერებს ჩაუტარდათ ტრენინგი თემაზე: "ლანდშაფტისა და მიწის რესურსების მდგრადი მართვის დანერგვა", რომელიც მიზნად ისახავდა გადაწყვეტილების მიმღებ პირთა, ადგილობრივ ფერმერთა და სხვა დაინტერესებულ პირთა ცნობიერების ამაღლებას. ტრენინგის მონაწილეები გაეცნენ ნიადაგის დეგრადაციის კუთხით არსებულ პრობლემებს, მიწებისა და ლანდშაფტების მდგრადი მართვის თანამედროვე და ეფექტურ მეთოდებს. ტრენინგი თეორიულ ნაწილთან ერთად, პრაქტიკულ საველე გასვლასაც მოიცავდა.



## ტრენინგი "ლანდშაფტისა და მიწის რესურსების მდგრადი მართვის დანერგვა" სიღნაღის მუნიციპალიტეტში

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორგანიზებით სიღნაღის მუნიციპალიტეტში, თვითმმართველობის წარმომადგენლებსა და ადგილობრივ ფერმერებს ჩაუტარდათ ტრენინგი თემაზე: "ლანდშაფტისა და მიწის რესურსების მდგრადი მართვის დანერგვა". ტრენინგის ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ ნიადაგებისა და ლანდშაფტების დეგრადაციის კუთხით არსებულ გამოწვევებსა და მდგრადი მართვის თანამედროვე, ეფექტურ გზებსა თუ მიდგომებს. ტრენინგი თეორიულ ნაწილთან ერთად, პრაქტიკულ საველე გასვლასაც მოიცავდა.



## ტრენინგი "ლანდშაფტისა და მიწის რესურსების მდგრადი მართვის დანერგვა" დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორგანიზებით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის წარმომადგენლებსა და ადგილობრივ ფერმერებს ჩაუტარდათ ტრენინგი თემაზე: „ლანდშაფტისა და მიწის რესურსების მდგრადი მართვის დანერგვა", რომელიც მიზნად ისახავდა გადაწყვეტილების მიმღები პირების, ადგილობრივი ფერმერებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლებას. ასევე, ამ ჯგუფებისთვის ნიადაგის დეგრადაციის კუთხით არსებული პრობლემების, მიწებისა და ლანდშაფტების მდგრადი მართვის თანამედროვე და ეფექტური გზების/მეთოდების გაცნობას. ტრენინგი თეორიულ ნაწილთან ერთად, პრაქტიკულ საველე გასვლასაც მოიცავდა.



## ტრენინგი "ლანდშაფტისა და მიწის რესურსების მდგრადი მართვის დანერგვა" გარდაბნის მუნიციპალიტეტში

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორგანიზებით, გარდაბნის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის წარმომადგენლებსა და ადგილობრივ ფერმერებს ჩაუტარდათ ტრენინგი თემაზე: "ლანდშაფტისა და მიწის რესურსების მდგრადი მართვის დანერგვა". ტრენინგის მონაწილეები გაეცნენ ნიადაგის დეგრადაციის კუთხით არსებულ პრობლემებს, მიწებისა და ლანდშაფტების მდგრადი მართვის თანამედროვე, ეფექტურ მეთოდებს. ტრენინგი მიზნად ისახავდა გადაწყვეტილების მიმღები პირების, ადგილობრივი ფერმერებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლებას. ტრენინგი თეორიულ ნაწილთან ერთად, პრაქტიკულ საველე გასვლასაც მოიცავდა.



## ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი საზოგადოებრივ კოლეჯთან "აისი''

პროექტის კომპონენტის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, დაიგეგმა სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მემორანდუმის გაფორმება და პროექტის ფარგლებში თავმოყრილი ცოდნის გაზიარება სამომავლო ურთიერთანამშრომლობის პერსპექტივების გათვალისწინებით. ამ მხრივ, პირველი სოფელ კაჭრეთში არსებული საზოგადოებრივი კოლეჯი "აისი" იყო, სადაც მემორანდუმის ხელმოწერის პარალელურად, სტუდენტებსა და სასწავლებლის წარმომადგენლებს ჩაუტარდათ ტრენინგი და გადაეცათ ტრენინგმოდული.



## სამუშაო შეხვედრა/სემინარი ეროვნულ დონეზე გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან

რეგიონებში ტრენინგების წარმატებით დასრულების შემდეგ, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორგანიზებით, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სფეროში, ეროვნულ დონეზე გადაწყვეტილების მიმღებ პირთა სემინარი/სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ შესრულებულ აქტივობებს, გაცვალეს ხედვები, გაუზიარეს ერთმანეთს გამოცდილება, გააკეთეს კომენტარები პროექტის მიმდინარეობასთან დაკავშირებით და შეჯერდნენ სხვადასხვა აქტივობებში სამომავლო ერთობლივ ჩართულობაზე.

www.eiec.gov.ge
www.rec-caucasus.org
info@eiec.gov.ge
info@rec-caucasus.org
(032) 2112023
(032) 2253649
www.slm.ge
Find us on facebook